



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

## თბილისის ცენტრალური პედაგოგიური ინსტიტუტი

თბილისის ცენტრალური პედაგოგიური ინსტიტუტი მ. ორახელაშვილის სახელობისა, უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელი, გაიხსნა 1923 თბილი. პედ. ტექნიკუმის ბაზაზე. მდებარეობდა ახლანდ. დ. უზნაძის ქუჩაზე, პირველი დირექტორი იყო გ. ნათაძე. 1924 ინტს მარიამ ორახელაშვილის სახელი მიენიჭა. სწავლების ვადა თავდაპირველად 2, შემდეგ კი 3 წელი იყო. მასში იღებდნენ ცხრაწლედ ან ტექნიკუმდამთავრებულებს. ინტი ძირითადად ამზადებდა შვიდწლედის მასწავლებლებს. პქონდა 2 ფაკ-ტი: სოციოლოგიალიტ-რისა და საბუნებისმეტყველო-მათემატიკური. სასწ. გეგმაში დიდი ადგილი პქონდა დათმობილი პედ. დისციპლინებს. თ. ც. პ. ი. 1928 დაიხურა; სტუდენტები ჩაირიცხნენ თსუ-ის პედ. ფაკ-ტის შესაბამის განყოფილებებზე, ხოლო 2 წლის კურსდამთავრებულებს უფლება მიეცათ სათანადო სტაჟის შემდეგ ჩარიცხულიყვნენ უნ-ტის პედ. ფაკ-ტის III კურსზე.

დ. გურგენიძე